# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ქრონიკაში შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტრიქონი 100 მან.

გაზეთის გამოწერის ფასი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5–7 ს. უქმე დღეებში კანტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 5 73.

წელიწადი მეექვსე

ხუთშაბათი, მარტი 4 1920 წ. № 48

ფასი 5 მან.

## გაზეთ „საქართველოს“ გასაყიდად
ქუჩებში გვესაჭიროება მოზრდილი

## ბავშვები

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

---

კონსტანტინე დავითის ძე ლორთქიფანიძე, მარიამ დავითის ასული და გიორგი ივანეს ძე კვარაცხელიძე შვილებით, მართა ბეგლარის ასული ლოლომბერიძისა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ მარტის 1-ლს გარდაიცვალა პირველთა საყვარელი მამა, მესამეს ძვირფასი სიმამრი, ხოლო მეოთხეს დაუვიწყარი ბიძა და უკანასკნელის ძვირფასი სიძისა

**დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე**

დაკრძალვა მოხდება პარასკევს 5 მარტს ს. დიდ-ჯიხაიში. 2924 2-1

---

გულდაწყვეტილნი შვილები ოლღა, იორამი, ელენე, ეკატერინე, დიმიტრი და კონსტანტინე ზაალ თარხან მოურავის ასულნი და ძენი რძლები: თამარ, ნინო, მარიამ და ელენე, მული თეიმურაზია იორამ თარხან მოურავის ასული, სიძე ნიკოლოზ თარხან-მოურავი და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 1 მარტს გარდაიცვალა

**ივლიტა დიმიტრის ასული თარხან მოურავისა**

დაკრძალვა მოხდება ს. ახალ-ქალაქში 5 მარტს.

---

კვირას 29 თებერვალს ქ. ქუთაისში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

**ნინო (ცუცა) პეტრიაშვილის ასული გაბუნაძე**

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: მეუღლე მისი ამბროსი (ბუჯა) გაბუნაძე, დედა ანა პეტრიაშვილისა, და—ელენე, დედამთილი და მამამთილი ელისაბედ და ერმილე გაბუნაძეები შვილებით, რძალი ნინო და სიძე გიორგი გორდელაძეები. გამოსვენება დანიშნულია 4 მარტს ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან (ივანოვის ქ. ქიქოძის სახლი). დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. პ. ნაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე 2928 3—1

---

პოეტის გალაკტიონ ტაბიძის

## საღამო

სახელმწიფო თეატრში ოთხშაბათს, 6 მარტს

ი. გრიშაშვილი წარმოსთქვამს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ

**პოეტები მწერლები:**

აბაშელი საშა
ბარნოვი ვასილი
გრიშაშვილი იოსებ
დადიანი შალვა
დადიანი შოთა
ინგოროყვა პავლე
მაყაშვილი კოტე

მეგრელი დუტუ
რუხაძე ვარლამ
რამიშვილი ტრიფონ
ტაბიძე გალაკტიონ
შარაშიძე შალვა
შიუკაშვილი ნიკო
ქუჩიშვილი გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს.

**ალეკო**

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა.
ვანო სარაჯიშვილის, ბოსტრიკოს, ოვსიანიკოვის, მოლოდოვის და ისეცკის მონაწილეობით. დადგამს ეულოვი. დირიჟორობს კორიშონი.

**კავალერიის ბანაკი**

ბალ. 1 მოქ.
პრიმა-ბალერინა ბაბურაზიანი. ბალეტ-მეისტერი ვაკარეცი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება სახ. თეატრის კასაში.
დაწვრილებით პროგრამებში.

---

ამა რის 7-ს მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. 4—3 7

---

## დამფუძნებელი კრების
## ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა (სოხუმის ოლქში) და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მომხდარა ან გაუქმებულია, დანიშნულია ამა წლის მარტის თვის 27-ს, 28-ს და 29-ს.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

30 3—1

---

მხატვრული დრამა

მიმდინარე
**ადარა**
პლეხანოვის ქ. 91

## კოშმარული შურის-ძიება ავაზაკის

5 ნაწილად,
კავკასიელ კონტრაბანდისტების ცხოვრებიდან—საყოფაცხოვრებო სიუჟეტი
მთავარ როლებში სახელმწიფო თეატრის პრემიერები მოზჟუხინ, ლისენკო და ტალდონოვი.

თეატრი იხსნება.
სიმფონიური ორკესტრი.

---

**კინემო მინიონი**

მარტის 4, 5 და 6-ს

საზამთრო სეზონის საუნჯე

## ლაქია

დრამა 6 ნაწილად.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენარიით.

მუსიკოსების მონაწილეობით.

ლაქიას როლში ავტორი.

---

## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21,)
ყოველ დღე დილის 11—3 საათამდე.

◆ სადილი ◆

მარტის 1-დან ახალი პროგრამა:
1. კუპლეტები.
2. ბალეტი
3. ბოშური გუნდი და სხ.

პროგრამის დასაწყისი საღამოს 11 საათზე

---

პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „კრისტენს“
ვერის დაღმართზე. ტელ. 8 62.
ხუთშაბათს, მარტის 4-ს 1920 წ.

მთელი დასის და მსოფლიო ატრაქციონი ნომრების მონაწილეობით შესდგება გრანდიოზული—მსოფლიო რეკორდსმენის და ჩემპიონის სიმძიმეთა აწევაში.

**მორის როზენბაუმის ბენეფისი დღეს**

ბენეფისის დღეს როზენბაუმი აჩვენებს თავის ფენომენალურ ძალას და ატლეტიკის ხელოვნებაში ლიდს და ტრიუკებს. როზენბაუმი დღეს ასწევს და ცირკის მოედანზე გაიტარებს ცოცხალს და მკვდარს სიმძიმეს. როზენბაუმი ფეხით გააქანებს ტაძით ხიდს, დაიჭერს 3 კაცს და 2 შტანგს. დაწოლილი სიმძიმე 35 ფუთის ფილის. როზენბაუმი თავის ბენეფისისათვის შეასრულებს მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან შეასრულა მსოფლიო ჩემპიონების დროს სტოკჰოლმში გადაიტანს შტანგს, 9 ფუთის წონის, ორი ხელით. აგრეთვე შეასრულებს მრავალ სხვა ატლეტიკურ სავარჯიშოს.

გაგრძელდება ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატის 30.000 მან. პრემიისთვის და მსოფლიო ჩემპიონის სარტყლის მიღებისთვის.

დღეს ჭიდაობენ: „ინკოგნიტო“. რომელმაც მთელი ჩემპიონატი გამოიწვია ჭიდაობაში, შავ ნიღაბში; მან წინადადებით მიმართა თითოეულ მოჭიდავეს, რომ გადაიხდის 3000 მანეთს, ვინც მას წააქცევს.

არბიტრი: კვიატკოვსკი.

შავი ნიღაბი (ინკოგნიტო) წინააღმდეგ რაფაელ... (მსოფლიო ჩემ.) გრანეთი (რუს. ჩემ.)—მიზონბე (ესტონ. ჩემ.) „ნეიზვესტნი“ მაკაროვი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. გამგე: იოფინოვი.

---

## ქართული კლუბი

შაბათს 6 მარტს

ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო
გორის მაზრის დაზარალებულთა სასარგებლოდ
გამართავს

## დიდ საზეიმო საღამოს

მონაწილეობენ: საუკეთესო ძალები ქართული სტუდიისა, დრამისა „ტარტოს“ და მხატვრული სახელმწიფო თეატრისა.

კლუბის ყველა დარბაზებში

## დიდი კაბარე

მაგიდების დაკვეთა ამ თავითვე შეიძლება კლუბის კონტორაში.
დაწვრილებით აფიშებში. 34 1—1

---

## ძმისწული ვასილ ნიკოლოზის ძე ზურაბიშვილი

ეძებს ბიძას ლევან ზაქარიას ძე ზურაბიშვილს,

რომელიც წარსულ 1919 წლის დეკემბრის 12-დან გავიდა თავის სადგომიდან დუქნიდან (ბაზრის რიგი) და დღემდე შინ არ დაბრუნებულა.

თუ ვინმემ იცის მისი ბინადრობის ადგილი ან რამე მასთან საქმეებზე, გთხოვთ წერილობით შეატყობინოთ ამ მისამართით: ავლაბარი, ნიკოლაევის ქუჩა № 71. ვინმე თოფურიას. 2921 3—1

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

ავადმყოფის მიღება 12 1 ნაშ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-63.

---

მედიცინის დოქტორი

## ივ. ღუ[illegible]ძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 5—7 ს. მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5, მიხეილის პროსპ. შესახვევში.
2899 2—1

---

## იყიდება

ცინკის დიდი ვანნა

მისამართი: კრილოვის ქ. № 10, ა. გულისაშვილისა ექ. კერესელიძესთან.

---

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## „ტაშირი“

შტაბის ქ. № 6, პუშკინის სკვერის პირდაპირ
გადაეცა ახალ პატრონებს.

ყოველ დღე ხდება ცნობილ კულინარ დავრინების ხელმძღვანელობით. სხვადასხვა ხაში, ბოზბაში, ჩიხირთმა და აზიური. ყოველგვარი სასმელი დაკლებულ ფასებში.

2868 10 7 პატივისცემით დ. ბუტიკია და ა. კახიშვილი.

---

## მოითხოვეთ
## ჩარიბაიას
## კახური ღვინო

ფირმის მიერ მოწოდებული მიწყვეტილები არიან [illegible] საუკეთესო მეღვინეები. 2862 10 5

---

## თელავის მომხმ. საზოგ. დოების „26 მაისის“
## გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ ქალ. თელავში კვირას, 7 მარტს, მცირე ხაზის შენობაში დი-გამსახურებელ აზნაურობის შენობაში დილის 12 საათზე დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური კრება შემდეგ კითხვების გადასაწყვეტად:

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წლ. ანგარიშისა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
4. არჩევა ერთი სარევიზიო კომისიის წევრისა.
5. ბინის საკითხი.
6. მიმდინარე საქმეები.

მიუხედავად წევრთა რიცხვის დასწრებისა კრება კანონიერად იქნება გამოცხადებული. 2906 1—1

---

## მოქალაქენო!

**მოიხადეთ თქვენი 3 დღის წინაშე გორელ უსახლ-კაროთა, შიშველთა და მშიერთა.**

## ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი

მიიღებს შემოწირულებას

1. ვაჭარ-მრეწველთა პალატაში, ერევნის სახლის ქ. № 11 (ყოფილ ფერეილინის ქ.)
2. დ. გ. ადამიას, იტალო-კავკასიის ბანკში (რუსთაველის პროსპექტი).
3. მეწარმეთა და მეფაბრიკეთა სახლში (პიროგოვის ქ. № 6).
4. გ. დ. ქართული მანუფაქტურის მრეწველთა საბჭოში (რუსთაველის პრ. ს. იბიანცისა).
5. ნ. ა. წერეთელი კავკასიის ბანკში
6. ი. ნ. მ. ლითვა და გ. ი. ზაქარიაძე ვაჭართა ბანკში.
7. ი. ნ. ხუციშვილი ძმ. ხელოსნების ქარხანაში.

**მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი ვალი!**

ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

## დღეს:

ცრების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება დახუროს გერმანიის გემებისათვის ოსმალეთის ნავსადგურები.

მობილიზებმა ქ. როსტოვი უკანვე აიღეს.

წ ე რ ი ლ ე ბ ი:
მეთაური — ბათომის არჩევნები
— ხან-ხოლი სათემის შესახებ.
— ეპოქა და მრეწველობა.

## ბათომის არჩევნები

ბათომის საქალაქო არჩევნები ქართველობის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა! გაიმარჯვა პირველმა №-მა და ხმოსანთა 36 ადგილიდან 20 ქართველი დემოკრატი იქნა არჩეული. სხვა სიებმა ერთი ორი ადგილი თუ მოიპოვეს და ამ რიგად ბათომის საქალაქო საქმეების მმართველ-გამგებლობა ქართველობას მიეკუთვნა.

დიადია მნიშვნელობა ამ გამარჯვებისა! დიადია სიხარული, რომლითაც უნდა მოიცვას მთელი ქართველი ერი, ბათომში გამარჯვების გამო!

მას შემდეგ, რაც მტრის ოკუპაციამ, ბათომი საქართველოს ჩამოაცალა, ეს საქართველოს უძვირფასესი კუთხე, სრულებით ჩამოსცილდა თავის დედა-სამშობლოს გავლენასაც და უცხოელთა გამგებლობის ასპარეზად გაიხადა.

ჯერ ოსმალებმა გახადეს თავის სათარეშოდ იგი და სწოვეს მისი სისხლი, რამდენიც შეეძლოთ.

ოსმალნი გაძევდნენ ბათომიდან, მაგრამ საქართველოს კანონიერი უფლებანი მაინც ვერ იქმნა აღდგენილი ქალაქსა და მთელს მხარეს დაეპატრონა ბრიტანეთი, მაგრამ ფაქტიურად მის სარდლობის მაგიერ, ბათომს დენიკინის აგენტები დაეუფლნენ და ქართული ქალაქი მოხალისეთა სათარეშო ასპარეზად გადიქცა.

ბათომი მოიცვა ანარქიამ და ურჯულოებამ შეიპყრო მთელი ოლქი. საქართველოს გვერდით, მისავე მოძმენი გარდიქცნენ წარმოუდგენელ შევიწროების საგნად, უცხოელთა მიერ და ჩვენ თვალ-წინ უნდა გვეცქირა ჩვენსავე მოძმეთა მწუხარებისათვის — ბათომი გამოცხადებული იყო ბრიტანეთის ოკუპაციის ქვეშ და თვით ბრიტანეთის სარდლობა კი, მეტად ზანტობდა ამ უწესოების დათრგუნვაში.

ბათომის მკვიდრი ელემენტებს არა ერთხელ აღუმაღლებიათ ხმა ამ უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ მათი ხმა უპასუხოთ დარჩენილა და ბათომის საკითხი, თავის გადაუწყვეტლობის რკალიდან მაინც ვერ გამოსულა!

პარიზის საზავო კონფერენციის პორტფელში სძევს პეტიცია მთელი ქართველი მაჰმადიანების საგანგებო ყრილობისა, რომელმაც ერთხმად მოითხოვა ბათომის და მთელი ოლქის თავის დედა-საქართველოსთან შეერთება.

ამიერ-კავკასიაში მყოფ ანტანტის უმაღლეს წარმომადგენლობას არა ერთხელ წარსდგომია დელეგაცია ამ მხარის ყოველი კუთხისა, ასეთივე კატეგორიული მოთხოვნილებებით.

ანტანტის ბაგე მაინც ვერ გაიხსნა ამ მოთხოვნილებათა საპასუხოდ!

ხოლო ამავე დროს, ბათომში ფართოდ იშლებოდა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაცია და ყოველგვარი თავის პრეტენზიებს აცხადებდა ბათომსა და მის ოლქზედ, ხოლო ანტანტი მდუმარედ შესცქეროდა ამ ავანტიურას რომელსაც ამზადებდენ ეს ელემენტები საქართველოს საწინააღმდეგოთ — მათი სიტყვით, მათ ამოძრავებდა „თავისუფლება ყველა მცირე ერებისათვის".

და ეს მიმართულებანი კი იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ბათომის მკვიდრი მოსახლეობა წინააღმდეგია საქართველოსთან შეერთებისა:

აი ამისთვის არის საყურადღებო ბათომის საქალაქო არჩევნების შედეგი;

ყველა ჯგუფები ხელ ჩართული ბრძოლისათვის დაირაზმნენ ამ არჩევნებში, ყოველმა ჯგუფმა მოახდინა სრული მობილიზაცია თავის ძალების, რადგან ყველამ ნათლად იგრძნო, რომ ბათომის არჩევნებს ფრიადი მნიშვნელობა ექნებოდა ბათომის საკითხის გადაწყვეტაში;

ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან უჩვეულო პროცენტი გამოცხადდა ყუთებთან — ასე დიდი იყო ინტერესი ამ არჩევნებისადმი და რა სჩანს ამ არჩევნებში:

აბსოლუტური უმრავლესობა მიაკუთვნა ქართულ სიას, სხვა ყველა დანარჩენ პრეტენდენტების სასტიკი დამარცხებით: რუსებმა, რომელნიც ყველაზედ მეტს ყვიროდნენ თავის უფლებებისათვის ბათომზედ, 36 ადგილიდან მიიღეს მხოლოდ 2 ადგილი — ამის შემდეგ მათ სიტყვას ალბად ვეღარავინ მიიღებს ბათომის მიდამოებში.

ჩვენთვის, საქართველოსთვის, ბათომის არჩევნებს [illegible] ახალი არაფერი უთქვამს, რადგან ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენი პრეტენზია ბათომზედ დამყარებულია არა მარტო ისტორიულ უფლებებზედ, არა მარტო ბათომ-პორტის საჭიროებაზედ საქართველოსთვის, არამედ თვით ხალხის კატეგორიულ სურვილზედაც და მის მოთხოვნილებებზედ — ამ მხარეს კი, მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ ანტანტის წარმომადგენლები.

რეფერენდუმი, ხალხის ნების ყოფა — ეს მათი პრინციპია და ამ პრინციპის მიხედვით განსაკუთრებით ნათლად გამოითქვა, ბათომის ხალხის სურვილი:

საქართველოსთან შეერთება — აი ეს არის ბათომის სიტყვა, რომლის უარყოფა უკვე აღარავის არ შეუძლია.

ეს სიტყვა ითქვა ისეთს პირობებში, როდესაც ბათომის მცხოვრებნი უცხო სახელმწიფოს ხელის უფლების ქვეშ იმყოფებოდნენ და სრულებით მოშორებულნი იყვნენ საქართველოს გავლენას — მით მეტს მნიშვნელობას და ძალას იძენს ბათომის არჩევნებში თქმული სიტყვა.

ეს სიტყვა უკვე ითქვა, ერთმა მხარემ გამოსთქვა თავისი ყოფის მტკიცე ნება, ახლა ჯერი ანტანტზე არის მიმდგარი და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის შეისმენს ამ სურვილს!

ამას მოითხოვს სამართლიანობა!

ამას მოითხოვს მთელი ბათომის მხარე!

ამას ითხოვს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები!

## დამფუძნებელი კრება

მარტის 1-ის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. მდივნობს ქრ. შარაშიძე.

კრება იხსნება 12 ნახ. საათზე.

გრძელდება მსჯელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატის და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. კამათში მონაწილეობენ ილია ნუცუბიძე, შენგელაია, დალიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, შალვა ნუცუბიძე და ჩხიკვიშვილი.

**ილია ნუცუბიძე** (ს. რ.) აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტმა წარსულ კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობა არის ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. შინაგან საქმეთა მინისტრი ჩვენში არსებულ კანონებსაც კი არღვევს. სამხედრო მინისტრად ყოფნის დროს გამოსცა ბრძანება სამხედრო ფორმის შეცვლის შესახებ და ეს ახალი ფორმა ჩვენს ხაზინას 3 მილიონი მანეთი დაუჯდა. ჩვენ არ შეგვიძლიან გარდა ამისა ასეთ მინისტრს, რომელსაც აურაცხელი ფული აქვს უწესოდ დახარჯული თვის უხეირო სისტემით გამოწვეულ ანარქიასთან ბრძოლაში, ჩვენ მას შტატებს და ხარჯთაღრიცხვას ვერ დაუდასტურებთ.

**ლ. შენგელაია**, აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოღვაწეობა არის სინთეზი აღმოსავლეთის დესპოტიზმისა და დემოკრატიულ ფრაზეოლოგიისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა სამაზრო ადმინისტრაციის სათავეში ყოფილი მეფის ბოქაული სდგას.

ადმინისტრაციის თავგასულობა ხომ იქამდის მიდის, რომ იმ მრავალ უწესოებასთან ერთად, რომელიც წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, ხშირია შემთხვევები, რომ ადმინისტრაცია ყაჩაღებთან ერთად ქურდობს. ეს მოხდა, მაგალითად სოფ. ლიაში. ეს იცოდა ზუგდიდის მაზრის კომისარმა.

მაგრამ ადმინისტრაციას როგორ მოეთხოვოს, როცა მოვალეობის შეგნება არა აქვს თვით მინისტრს. დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნების დროს მე რამდენიმე დეპეშა წარუდგინე შინაგან საქმეთა მინისტრს ამხანაგს, სადაც ითხოვდნენ რომ ადმინისტრაციის თვითნებობა და არჩევნებში მისი ჩარევა აღაგმულიყო, მაგრამ მინისტრმა ეს არ ინება და განაცხადა რომ ამის უფლება არ მაქვსო.

ამის შემდეგ, მე არ ვიცი რა უწოდო ამას მოვალეობის შეგნება თუ კრეტინიზმი.

**ხ. დალიანი** (ს. ფ.) ეხება ადმინისტრაციის თვითნებობას და აღნიშნავს რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ აქვს გარკვეული სისტემა ან თუ აქვს იგი ყოვლად შეუფერებელია დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ორატორი დიდხანს ჩერდება ფოსტა-ტელეგრაფის ადმინისტრაციაზე და აღნიშნავს რომ იგი არღვევს ყოველგვარ უფლებებს.

**შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი** აღნიშნავს რომ სამინისტრო მუდამ მოქმედობდა არსებულ კანონების მიხედვით. ეს მოღვაწეობა არ ეწინააღმდეგებოდა აგრეთვე რევოლუციის კანონებს. მინისტრს მოჰყავს კონვენტის მიერ 1793 წ. გამოცემული დეკრეტი რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ და გაჰყავს პარალელი საფრანგეთის რევოლუციის პრაქტიკისა და საქართველოს დემოკრატიის მოქმედების შორის.

ადმინისტრაციის მოქმედებაში კერძო შეცდომები შესაძლებელია მაგრამ მას შემდეგ რაც ადმინისტრაცია გადაეცა ადგილობრივ თვითმართველობებს მისი გაჯანსაღება მარდის ტემპით მიმდინარეობს და ადმინისტრაციის აპარატი ჯეროვნად ეწყობა. აქ განაცხადეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი თვით არღვევს კანონებსო. მას მიაქვს ანარქიასთან საბრძოლველად მილიონები და გასამართლებელი საბუთები კი არ წარმოუდგენიაო. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება და როცა მოხდება ჩვენს სამინისტროში თვით კონტროლის აზრი ამას დაადასტურებს.

აქ მოიყვანეს აგრეთვე ის ბრძანება რომელიც მე გავეცი სამხედრო უწყებისადმი და რომლის თანახმადაც ოდნავ იქმნა შეცვლილი სამხედრო ფორმა.

დიახ! ეს მართალია, მაგრამ ეს იცის თვით სამხედრო კომისიამ ის ფორმა რომელიც მიიღო დამფუძნებელ კრებამ ოდნავ შეუფერებელი გამოდგა და ამ ბრძანების თანახმად მცირეოდენი შესწორება იქმნა შეტანილი. ამისათვის სამხედრო პირებს მიეცათ ავანსი რომელსაც შემდეგ გადაიხდიან.

ბატ. დალიანის განცხადება, რომ მართალი იყოს და ფოსტა-ტელეგრაფისთვის ადმინისტრაცია არაფერს არ აკეთებდეს ჩვენ მისი ნაყოფიერი შედეგები არ გვექნებოდა. ახლად გახსნილია 51 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და ახლო მომავალში გაიხსნება 15 ალაგას. ტელეგრაფის ხაზის სიგრძე იყო 1456 ვერ. ახლა მიემატა 441 ვერ. თქვენ იცით რომ [illegible] თბილისსა და ქუთაისში ტელეფონი არ არსებობდა. ეხლა კი გახსნილია სულ საერთო ხაზით 1165 ვერსის მანძილზე.

**შ. ნუცუბიძე.** (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ რადგან ჩვენ ვერ მოვესწარით ბიუჯეტის განხილვას ამიტომ ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ უწყების შტატის და ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს სწყდება კამათი თვით უწყების მოღვაწეობის შესახებ. ასე მოხდა მიწათმოქმედების სამინისტროს შტატისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს. და ასე ხდება ეხლაც, მაგრამ მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ მაშინ ს. დემ. ფრაქციამ არ მოგვცა ნ. ხომერიკი აქ გასაწეწად და მას თავისი კალთა გადააფარა ხოლო რამიშვილს კი ასე არ ეპყრობა. რაშია საქმე რით აიხსნება ეს. ალბად იმით რომ თვით ფრაქცია გრძნობდა ხომერიკის სისუსტეს ხოლო რამიშვილისა მას იმედი აქვს როგორც უფრო მოხერხებულ მინისტრისა.

შემდეგ ორატორი ეხება იმ გარემოებას, რომ ს. დ. [illegible] პალატაში თავისი ფრაქცია [illegible] და იქ ხშირად [illegible] მინისტრის მოქმედების გამო. ხოლო რაც ითქმის იქ მის თქმას აქ ვერ ახერხებენ. მიწათ-მოქმედების მინისტრს ფრაქციაში უნდობლობას უცხადებენ ხოლო აქ კალთას აფარებენ. შემდეგ ორატორი ეხება ადმინისტრაციის უწესოებას ახალციხის მხარეში. მოჰყავს საგანგებო რევიზორის [illegible] მოხსენება, და აღნიშნავს, რომ ეს მოწმობს იმას რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არამც თუ ვერ შექმნა სათანადო ადმინისტრაცია არამედ მან სათანადო სისტემაც კი დაკარგა. შემდეგ ორატორს მოჰყავს ადმინისტრაციის თვითნებობის მრავალი და შეუფერებელი ფაქტი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან.

**ჩხიკვიშვილი** (ს. დ.) აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ორატორებს ყალბი ბაზისით სურთ დაჩრდილონ საგანი წარმოდგენილ კანონპროექტის და პარტიულ ბრძოლას აწარმოებდნენ. დამახასიათებელია, რომ მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობაში ვერც ერთი დადებითი მხარე ვერ ჰპოვეს. ოპოზიციის ორატორები რომ გულწრფელნი ყოფილიყვნენ მათ არ შეეძლოთ არ შეენიშნათ ის დიდი საქმე რომელსაც ეწევა შინაგან საქმეთა სამინისტრო რესპუბლიკანურ რეჟიმის დამყარებისათვის. რაც შეეხება ოპოზიციის ორატორების მიერ წარმოდგენილ ფაქტებს, ზოგი მათგანი სინამდვილეს არ შეესაბამება და ზოგიც წარსულს ეკუთვნის. ყოველგვარ შემჩნეულ უკანონობის წინაშე სამინისტრო ენერგიულ ზომებს ღებულობდა — შემდეგშიაც მიიღებს.

**სხდომა იხურება ხუთის ნახევარზე.**

**მარტის 2 სხდომა.**

თავმჯდომარეობენ ალ. ლომთათიძე: შემდეგ ს. მდივანი და ექვ. თაყაიშვილი

მდივნობს ქრ. შარაშიძე

**პრეზიდიუმის წინადადება.**

პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს კრებას რომ მე-12 საკითხი — დეკრეტი ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებად 1.500,000 მან. მიცემისა განხილულ იქმნეს პირველ საკითხად.

**ქ. ნინიძე** (ს. დ.) აუწყებს კრებას რომ ს. დ. ფრაქციას ამ დეკრეტის განხილვა არ მოუსწრია და სთხოვს იგი თავის ალაგას დარჩეს.

პრეზიდიუმის წინადადება უარყოფილ იქმნა.

### მთავრობის განცხადება ბათომის შესახებ

**გარეშე საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის სიტყვა.**

მოქალაქენო, ბათომის ქალაქის არჩევნები საქართველოს რესპუბლიკისათვის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა (ტაში).

მიუხედავად არასწორი დაბრკოლებისა, მიუხედავად დამახინჯებულ საარჩევნო სისტემისა, რომელიც აუტანელ პირობებში აყენებდა საქართველოს რესპუბლიკის მომხრეებს, ბათომის მკვიდრთა 60 პროც. ხმა მისცა პირველ სიას, რომელიც მოითხოვს, რომ ბათომი და მისი ოლქი საქართველოს რესპუბლიკას შემოუერთდეს.

ეს არჩევნები რომელიც ფორმალურად მუნიციპალური იყო არსებითად პოლიტიკური პლებისციტი გახლავთ.

ბათომი წარმოადგენს განუყრელ ნაწილს საქართველოს რესპუბლიკისას და თუ დღემდის ეს უცხოელთათვის საეჭვო საგანს წარმოადგენდა დღევანდელ პოლიტიკურ პლებისციტის შემდეგ ამას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

იმ საშინელ [illegible], რომელიც ჩვენ ხალხს დაატყდა ამ ორი წლის წინად, ბოლო უნდა მოეღოს და ბათომი სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს.

ადრე მომხდარ ოლქის ყრილობაზე არჩეულმა მეჯლისმა რამოდენიმე დღის წინად აღიარა რომ ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს, ამასვე აღიარებს დღეს ბათომის პლებისციტი.

მთავრობის სახელით მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს განვაცხადო რომ იგი ყოველივე ღონეს იღონებს, რომ ბათომის და მის მკვიდრთა ნებისყოფა სისრულეში იქნეს მოყვანილი.

ყოველივე დაბრკოლება, ყოველივე ბოროტი ძალა ამ სურვილს მთელი საქართველოსას ვერ აღუდგება წინ. (ტაში).

მე განმეორებით შემიძლია ვსთქვა, რომ დღემდის ჩვენ გვქონდა საშუალება [illegible], მაგრამ დღეის შემდეგ საქართველოს მთავრობას არ აქვს არც პოლიტიკური და არც მორალური უფლება, რომ კიდევ აიტანოს და ძალით მოგლეჯილი მხარე, ბათომი და მისი ოლქი უკან არ დაიბრუნოს! (ტაში).

### აკაკი ჩხენკელის სიტყვა

მოქალაქენო, ბათომმა თავისი სთქვა. სიტყვა სრულიად მოსაწონი და თავისთავად საყურადღებო, საგულისხმიერო და თვალსაჩინო დამცემი სხვებისათვის. მე ვამბობ სხვებისათვის და [illegible]. ამ სხვებმა დაივიწყეს ის, რომ ბათომი ქართული ქალაქია.

ბათომი რუსეთის რეჟიმის დროსაც ქართველობდა. თქვენ ვერ დაასახელებთ ბათომის ვერც ერთ ქალაქის თავს არა ქართველს. საქართველოს დემოკრატია ბათომიდან იწყებს მოქმედებას.

საყურადღებოა, რომ ბათომის არჩევნები მოხდა მაშინ როდესაც იქ არ იყო საქართველოს ხელის უფლება, როცა ის წარმოადგენდა საოკუპაციო მხარეს.

თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ ამ ზაფხულს დროს ასეთი არჩევნები მოხდა ფიუმეში და არჩევნები იტალიის სასარგებლოდ გადასწყდა, მაგრამ ამ არჩევნების დროს ფიუმეში იტალიის მთავრობის ჯარი იდგა. შემდეგ ასეთივე არჩევნები მოხდა ვილნოში. იგი პოლონეთის სასარგებლოდ გადაწყდა მაგრამ ვილნოში ამ დროს პოლონეთის ჯარი იდგა.

ბათომში მოხდა არჩევნები მაგრამ იქ ჩვენი ჯარი არ იყო, ამისდამიუხედავად ბათომმა სიტყვა ჩვენ სასარგებლოდ სთქვა.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდის ბათომში გაბატონებულნი იყვნენ ანტისახელმწიფოებრივი ანტისოციალური ელემენტები. საქართველოს არ [illegible] დარბევა და ამ საშინელ მოქმედებას კი მხოლოდ წყალობით ადგილი ჰქონდა ბათომში.

ევროპაში ხშირად იწერებოდა რომ ოსმალეთიდან გამოძევებული ყველა [illegible] მოხდა ევროპელთა [illegible], ხოლო [illegible] ერთი სამხედრო [illegible] სადაც ასეთს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ ჩვენთვის სამწუხარო იყო ცნობა ბათომში მომხდარ უწესოების შესახებ.

არიან მოღვაწენი რომელნიც პრესაში სწერენ, რომ ბათომის საკითხი საერთაშორისო საკითხია. ისინი, მე უნდა განვაცხადო სიმტკიცის ღალატობენ. იგი ვისაც ბათომი საერთაშორისო საკითხად მიაჩნდა — ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ სცნობს.

ბათომმა თავისი სიტყვა სთქვა და მე ვიმედოვნებ რომ არც ჩვენი მთავრობა დააყოვნებს სათანადო ღონისძიებათა მიღებას ბათომის და მის ოლქის შემოსაერთებლად.

დამფუძნებელ კრებამ ერთხმად მიიღო ს. დ. ფრაქციის ფორმულა ამ საკითხის შესახებ, რომლითაც მთავრობას ევალება ბათომის შემოერთებისათვის დროზე სათანადო ღონისძიებათა მიღება.

(დასასრული ხვალ)

## გორის გარშემო

**მთავრობის საგანგებო კომიტეტში.**

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავრობის საგანგებო კომიტეტმა თავის შემადგენლობაში მოიწვია რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის წარმომადგენელი.

**საქართ. კოოპერატივთა ცენტრალი და გორელ დაზარალებულთათვის**

საგანგებო დამხმარე კომიტეტმა ნება მისცა საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ საბჭოს ცალკე მოაწყოს თავის სახელით მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების საქმე გორში, იმ პირობით კი, რომ საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა მთავრობის საგანგებო კომიტეტის რწმუნებულის ექ. მ. ზანდუკელის ხელში იყოს; შეწირულებათა შეგროვება მთავარ დამხმარე ბიუროს წიგნაკებით უნდა სწარმოებდეს და უნდა გადაეცეს იმავე ბიუროს.

**გორელების გადაგზავნა სიღნაღს, თელავსა და ბორჯომში.**

საგანგებო დამხმარე კომიტეტმა წინადადება მისცა რწმუნებულ ნ. ჩიქვაიძეს, რომ თბილისში დაბინავებული დაზარალებულნი, რომელთაც აქ საკუთარი ბინა არ მოეპოვებათ გადაიყვანოს სიღნაღში, თელავში, ბორჯომში და სხვაგან, სადაც მიეზადებათ ბინები და სანოვაგე და იქვე გადაიყვანონ თბილისის სასადილოებიდან გამოწერილი ავადმყოფი.

**დაზარალებულთა ბავშვების მოვლა-პატრონობა**

საგანგებო დამხმარე კომიტეტმა დედებისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებას მისცა ქ. გორში და მის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ბავშვების მოვლა პატრონობის საქმის მოწყობა.

**გორის მოხელენი**

საგანგებო კომიტეტმა დაავალა თავის რწმუნებულს მ. ზანდუკელს გორის თვითმართველობის მოხელეებს დაურიგოს თებერვლის ჯამაგირი და წინადადება მისცეს გორის თვითმართველობის უწყებებს მინიმუმამდე შეამციროს მოსამსახურეთა შტატები.

### გორის ფონდი

**ბათომში შეგროვილი შეწირულებანი.**
(დეპეშა საგარეო საქმეთა მინისტრს).

გორის მაზრაში მომხდარი უბედურების გამო გამოწვეული თანაგრძნობა ფართო ხასიათს იღებს. თანაგრძნობის გამოცხადებასთან ერთად შემოდის შეწირულებანი. რუს-აზიის ბანკისგან მივიღე ათი ათასი (10,000) მანეთი. საფრანგეთის სავაჭრო აგენტის ბათომში მიწისძვრისაგან ათასი მანეთი. სომხეთის კონსულმა გამოაცხადა თანაგრძნობა და გადმოსცა, რომ ერევნულ საბჭოსთან ერთად შეუდგა ხელის მოწერას დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის და ნივთების შეკრებას. ჩვენ ერევნულ საბჭოსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომიტეტმა ერთ დღეში შეკრიბა შვიდიათასამდე მანეთი. ბათომის მომხმარებელთა საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით ორმოცდაათი ათასი (50,000) მ. გაიღო.

კონსული: ადნიაშვილი.

**გარეშე საქმეთა სამინისტროში** გორის ფონდის სასარგებლოდ შემოვიდა: საზღვარგარეთის სამხედრო მისიისაგან — 100 000 მან, სკუკენ და კომპ. 50,000 მ., ს. ა. შელიქოვისაგან 25,000.

**სახელოვნო ცენტრმა** 2 მარტის სხდომაზე დაადგინა, მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდოს ერთდროული დახმარება 10.000 მან. და ახლო-მომავალში მათ სასარგებლოდ გამართოს საღამო; საღამოსათვის მობილიზაცია ჰქნას საუკეთესო ძალებს. მიმართონ პოეტებს, რომ საღამოზე წაიკითხონ ჯერ დაუბეჭდავი ლექსები, მსახიობებმა დასდგან ახალი ორიგინალური პიესა, მუსიკოსების მიერ შესრულებულ იქმნას ახალი ნაწარმოები; აგრეთვე სახელოვნო ცენტრის წინადადებით, სამხატვრო საზოგადოება გამართავს გამოფენას, რომლის შემოსავალიც აგრეთვე მიზანს მოხმარდება.

**სიღნაღის დახმარება.**

სიღნაღში შესდგა როგორც სამაზრო, ისე სათემო ქალაქის დამხმარე კომიტეტები. სამაზრო ერობამ თავის ხარჯით გადასდო 50,000 მანეთი. ხალხი დიდ მწუხარებაშია ქართლში მომხდარ უბედურების გამო და სულით და გულით სწირავენ ფულს და სხვა ნაირ მოთხოვნილების საგნებს.

სიღნაღის ერობა სთხოვს მთავრობის საგანგებო კომიტეტს სადგურ წითელ წყაროზე გაუგზავნოს 1000 ცალი ცარიელი ტომარა ქართლში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის ხორბლეულის გასაგზავნად.

სიღნაღის ქალაქის მთავრობის მოადგილე აუწყებს მთავრობის საგანგებო კომიტეტს, რომ შ. უძლიანი სიღნაღში შეიხიზნონ თავის ხარჯზე 10 ოჯახი და მთავრობის ხარჯზე 20 ოჯახი, რადგან ქალაქში სახლების სიმცირეა.

**შემოწირულება.**

მე 4 ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებლებმა, მოწაფეებმა და მოსამსახურეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრით „გორის ფონდს“ შესწირა 15,137 მან.

**გრანდიოზული საღამოს მოწყობა.**

გუშინ არტისტიულ საზოგადოების ბინაზე შესდგა თბილისის კლუბების კავშირის კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს მოაწყონ დიდი ევროპიული საღამო-ბალი „მიკარენი“, რისთვისაც დაქირავებულ იქნება არტისტიულ საზოგადოების მთელი შენობა, დაადგინეს საღამოს ხარჯთ აღრიცხვის და პროგრამის შესადგენად მოიწვიონ ცნობილი მხატვრები, ხუროთ მოძღვარნი და მსახიობნი. საღამოსთვის მზადება დაევალა ცალკე კომისიას, სადაც შევიდნენ დ. ი. ყარლანოვი, დ. ი. გამაშვილი და დ. მ. ღუმბაძე.

**დეპეშა ბაქოდან.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ბაქოდან.

მომავალი მშრომელ ინტელიგენციის კავშირი ღრმა მწუხარებას უცხადებს თავის მეგობარ ქართველ ხალხს მის თავზე დატეხილ სტიქიურ უბედურების გამო და იზიარებს მის მწუხარებას.

თავმჯდომარე ემ ხვიდთვი.

**ბათუმელი სომხების თანაგრძნობა.**

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმიდან:

„ბათუმის სომხები ღრმად დამწუხრებული გორის და მის მიდამოებში მომხდარ უბედურებამ და მთხოვენ განგიცხადოთ მათი მწუხარება და რომ ისინი მზად არიან ძმური დახმარება გაუწიონ დაზარალებულ მცხოვრებთ. შემოწირულებათა შეგროვება უკვე დაიწყო.

სომხეთის კონსული ა. ჩიმიშკიანი და სომხეთა ეგ. საბჭოს თავმჯდომარე მანდოიანი.

# უცხოეთი

## რუსეთი

(საქ. დ-პ. ს.)

**სტუდენტები და შრომის ფრონტი.**

პეტროგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა გადასწყვიტეს დაანებონ სწავლის დასრულება და შრომის არმიაში ინჟინრებათ ჩაეწერონ. პეტროგრადში ნავთსადგურის დასაწყობათ დიდი მუშაობა სწარმოებს. ასწორებენ საჰაერო გემებს მომავალ გაზაფხულზე ჩვენი ფლოტი დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულების მოჰყვანდება.

საბჭოთა რუსეთში სარდლის ბრძანებით ურალ-ორენბურგის ჯარი, რომელმაც თავისი სამხედრო მისია შეასრულა, გადადის ყველა შრომის ფრონტზე № არმიას დავალებული აქვს დასთესოს პური ურალის ნაყოფიერ ადგილებში და დაეხმაროს ყაზახთა მცხოვრებთ მეურნეობის აღდგენაში

**მოსკოვი მარტის 1.**

21 თებ. მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მშრომელ ყაზახთა პირველი ყრილობა, რომელსაც ყაზახთა ჯარების ყველა დელეგატი დაესწრო. დელეგატთა რიცხვში ქალებიც არიან. ყრილობა პოლუიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვით ს. ც. ა. კ. სახელით მათ ამხ. კალინინმა მიმართა. კალინინმა აღნიშნა ის გავრცელებული ყალბი ხმები, თითქმის საბჭოთა ძალა-უფლება სარწმუნოებას სდევნიდეს. ეხლა, მოსკოვში მყოფ ყაზახებს შეუძლიათ თავისი თვალით იხილონ და დარწმუნდენ ამ არაკების უაზრობაში. საბჭოთა მთავრობა არავის ხელს არ უშლის; ვისაც რა სურს, მას იწამებს. მოსკოვის საბჭოს სახელით ილაპარაკა კამენევმა.

**მოსკოვი 1** 3 სამხედრო ცნობა დამატებით ცნობებით, ვოლდოვერის რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე ხელში ჩავიგდეთ 16 ტყვის მფრქვეველი და 4 ზარბაზანი. მურმანის მიმართ ჩვენ ვარენკა ავიღეთ (პოვენცის ჩრდილოეთით 100 ვერ.) რუგჯეცის მიმართ. არტილერია მოქმედებს. როსტოვის რაიონში მტერს სამხრეთისაკენ ვსდევნით. ჯერ ჯერობით აღნიშნულია 4000 ტყვე ზარბაზანი, 52 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. სტავროპოლის რაიონში ჩვენ კავკასკაია ავიღეთ. 29 თებ. ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი ქ. სტავროპოლში შევიდა. კრასნოვოდსკის მიმართ. მტრის გემი სადკაილიუს უშენდა. ფერგანსკის მიმართ მზვერავები მოქმედებენ.

სამხრეთ-რუსეთში მოხალისეებმა უკანვე აიღეს როსტოვი. ხელთ იგდეს 1500 ტყვე, 22 ზარბაზანი და სხვა ავლა. შემდეგ მოსულ დეპეშებში წითლები აცხადებენ, რომ ქალაქი მათ უკანვე აიღიათ. ჩრდილო კავკასიაში სტავროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლებია.

## ლატვია

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვიდან უმავთულო ტელეგრაფით გვატყობინებენ: ლატვიებმა პოლონეთისა, ფინეთისა და ლიტვასთან შეთანხმებით საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება გადასწყვიტეს.

ლედი... პალატაში მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა სასმელებზე კონტროლის დაწესების შესახებ. ქალებისა და ბავშვების სასარგებლოდ მან სასტიკათ გააკრიტიკა სიტყვა სერ ჯონ რისისა, რომელიც სასმელებზე შეზღუდვის მოსპობას მოითხოვდა, თუმცა არც იგი იყო მომხრე ომის წინადროინდელ მყოფ კანონების აღდგენისა.

## ხან-ხოელი ბათუმის საკითხის შესახებ

გაზ. „აზერბაიჯანის“ თანამშრომელთან აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან ხოელმა ამნაირად გამოსთქვა ის თვალსაზრისი ბათომის საკითხის გამო, რომელსაც ადგია აზერბაიჯანის მთავრობა.

ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრების დაფუძნებისთანავე ბათომის საკითხი გახდა საგანი ჩვენი განსაკუთრებულ ყურადღებისა, და ჩვენი დელეგაცია საზავო კონფერენციაზე პარიზში, თავის მოხსენებებში არა ერთხელ მიიქცევდა მოკავშირეთა ყურადღებას ბათომზე, რომლის საკითხის გადაწყვეტას სასიცოცხლო ინტერესები აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ლაპარაკი იმაზედ, თუ რა განსაკუთრებითი მნიშვნელობა ეძლევა ბათუმის საკითხის სასურველად გადაწყვეტას ჩვენთვის ზედმეტია.

ამ შემთხვევაში აზერბაიჯანს ვერ შეუთანხმებთ ამიერ კავკასიის სხვა რესპუბლიკებს.

ჩვენთვის ბათუმი არის საბოლოო პუნქტი გზისა, რომელიც გასავალს გვაძლევს ევროპაში, და ამასთან საბოლოო პუნქტიც ნავთსადენის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის ამ არტერიის ურომლისოდ წარმოუდგენელია ჩვენი ნორმალური ეკონომიური ცხოვრება.

ამ გზის დაცვა შეადგენს ჩვენს ამოხრჩობას. ეს მოსაზრება საფუძვლად უდევს ჩვენს პოლიტიკას ბათუმის საკითხში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ბათუმის პოლიტიკური ბედი, ვინ რა პირობებშიც გინდ არ გახდეს მისი პატრონი, ბათუმის ეკონომიური მომავალი საკითხი უნდა გადაწყდეს დამოუკიდებლივ მისი პოლიტიკურ კუთვნილებისა, და ამ გადაწყვეტილებამ კერძოდ, აზერბაიჯანს უნდა მისცეს გარანტია ბათუმის პორტით დაუბრკოლებლივ სარგებლობისა როგორც უსაჭიროეს გზისა ევროპასთან საჭაჭრო დამოკიდებულებისა და ნავთსადენის საბოლოო წერტილისა.

ჩვენ უკვე არ გვეპარება ასეთ თვალსაზრისის სამართლიანობაში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში იმდენად მჭიდროდ არიან ეკონომიურად ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ უსაჭიროესი გასავალი ამ რესპუბლიკებიდან იმყოფებოდეს რომელიმე ძალის ხელში, რომელსაც შეეძლება თავის ნებით დაჰკეტოს ეს გასავალი ან სხვა ასარგებლოს მით სხვა და სხვა პირობებით.

სიამოვნებით შემიძლიან ავღნიშნო, რომ შეგნება ასეთ თვალსაზრისისა, ემჩნევა ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკათა მესვეურ პოლიტიკურ წრეებსაც, და ის გარემოება გვაიმედებს, რომ განსაკუთრებული შრომა არ მოგვიხდება მისაღწევად ასეთ შეთანხმების რომელიც თავის საზომით დააკმაყოფილებს დაინტერესებულ მხარეებს.

პოლიტიკურად კი ასეთი შეთანხმება მეტად დიდებული იქნება, რადგან ეკონომიურ დაახლოვების ნიადაგზე შეამზადებს პირობებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა უფრო მჭიდროდ შესაკავშირებლად და შეამსუბუქებს ამ მიმართულებით გამართულ მოლაპარაკებასაც „იმედი საკითხის სასურველად გადაწყვეტის,—შესახებ დაასრულა ხან ხოელმა,—უფრო ძლიერდება რადგან მე უკვე მივიღე დარწმუნებითი ცნობები მოკავშირეთა კომპეტენტურ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობანი სწორედ ამ თვალსაზრისით უდგებიან ბათუმის საკითხს, ითვალისწინებენ რა მის მნიშვნელობას, როგორც სრულიად ამიერ-კავკასიისთვის ისე კერძოდ, აზერბაიჯანისთვის. [illegible] აქვს ამასთანავე რომ ამ გზით დაგვიახლოვდება ევროპის ბაზარი რომელსაც ჩვენი თავით და მრავალ ნედლ მასალით გავამდიდრებთ მოკავშირეთა ასეთი დამოკიდებულება გვიმედებს, რომ ბათუმის საკითხის სამართლიანად გადაჭრას ისინი ძლიერ დახმარებას გაუწევენ. ხოლო რადგან ჩვენ, გარდა სამართლიანობისა არაფერი გვამოძრავებს, არც გვინდა და არც ვითხოვთ, ის სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება უფრო დამაკმაყოფილებელი ჩვენი სურვილებისა და ინტერესების“.

# ახალი ამბები

### მთავრობაში

**ბერძენთა მეორე ყრილობის დეპეშა ნ. ჟორდანიას.**

საქართველოს ელლინთა მეორე ყრილობა ღრმა გრძნობით მიესალმება რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო და უსურვებს მას თავისუფალ აყვავებას.

ყრილობის თავმჯდომარე
პოპანდოპულო.

**ქართული გემების ცურვა ეროვნულ დროშით.**

პარიზიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა მთავრობის თავმჯდომარეს:

„საფრანგეთის მთავრობამ საქართველოს გემებს ეროვნულ დროშით ცურვის ნება დართო.“

საქართველოს დელეგაცია.

### სამინისტროებში

**ბორჩალოს გერმანელების შუამდგომლობა**

შინაგან საქმეთა სამინისტროს დამფუძნებელ კრების წევრმა მ. ბიულმა მიმართა შუამდგომლობით, რათა გერმანელების 2 სოფელს ბორჩალოს მაზრაში—არაშენს და იაკობლის გამოეცვალოს სახელი და შემოღებულ იქნას ხსენებულ სოფლებში სასოფლო სამმართველო მამასახლისის, რომელსაც ექნება სოფლის ბეჭედი. სოფ. არაშენს უნდა ეწოდოს—ვალდჰეიმი, ხოლო იაკობლის—ბლიუმენფელდი. შუამდგომლობას თან ახლავს ორივე სოფლის გლეხების დადგენილება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭირო ცნობების მისაღებად მიმართა ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობის მიმართ.

### სასამართლოში

**დუშეთის მაზრაში აჯანყების საქმე**

6 მარტიდან თბილისის საგანგებო სასამართლო შეუდგება დუშეთის მაზრაში მომხდარ აჯანყების საქმის გარჩევას. საბრალმდებლო აქტი უკვე შეადგინა ხსენებულ სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგმა ალ. ყანჩელმა. საბრალმდებლო აქტი შესდგება 16 ფურცლისაგან. ამ საქმეზე გამოწვეულია 232 მოწმე. ბრალდებულთა დამცველებად გამოდიან თბილისის საუკეთესო ვექილები.

**საგანგებო სასამართლოში**

თბილისის საგანგებო სასამართლოში მარტის 6-დან შესწყდება ქალაქის საქმეების გარჩევა. 6-ში განხილულ იქნება უკანასკნელი ასეთი საქმე. უკვე შემოსული საქმეები გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას. რაც შეეხება სამაზრო საქმეებს, ასეთების გარჩევა 1 თვეს კიდევ გაგრძელდება, შემდეგ კი სამაზრო საქმეებიც საოლქო სასამართლოს გადაეცემა.

**პუპო-ს საქმე ფულის გაფლანგვის შესახებ**

1 მარტს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ გაარჩია ვოლგა კამის ბანკის მოლარის პუპო-ს საქმე, რომელსაც ბრალდება 679,500 მან. ხსენებულ ბანკის ფულის გაფლანგვა. ბ. პუპოს დანაშაული დაუმტკიცდა. მას იცავდა ნაფიცი ვექილი ზ. მესხიშვილი. პუპოს მიუსაჯეს 8 თვით ციხეში ჯდომა, მაგრამ ამნისტიის ძალით ეს სასჯელი გაუნახევრეს, ხოლო რაკი იგი უკვე იჯდა ციხეში 6 თვეს, ბ-ნი სრულიად იქნა განთავისუფლებული.

**სასამართლოს კონვენცია სომხეთთან და აზერბაიჯანთან**

ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს სომხეთის მთავრობასთან სასამართლო კონვენციის დადების შესახებ. ახლო მომავალში მოელიან სასამართლო კონვენციის დადებას, როგორც სომხეთთან, ისე აზერბაიჯანთან.

### სხვა და სხვა ამბები

**ყალბი წამლეულობა**

ბოლო ხანს ბაზარზე ძალიან გავრცელდა ყალბი და ცუდი ღირსების წამლეულობა. ოფიციალურ დაწესებულებათა მოწმობით, უცხოეთიდან შემოზიდულ წამლეულობის 60 პროც. ფალსიფიკაცია.

**საქიმიო მასალის და წამლეულის სიმცირე**

ამ ჟამად ერობები დიდ გასაჭირს განიცდიან საქიმიო მასალის და წამლეულის დიდ სიმცირეს, რის გამოც ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს მრავალი შუამდგომლობა მოსდის წამლეულის და საქიმიო მასალის მიწოდების შესახებ.

**პ. ჩინიჯიშვილი — საგარეო საქონლით და საფინანსო წარმომადგენელი შავი ზღვის გუბერნიაში**

საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი პ. ჩინიჯიშვილი დაინიშნა საგარეო-საქონლით და საფინანსო წარმომადგენლად შავი ზღვის გუბერნიაში ჩინიჯიშვილი გუშინ გაემგზავრა.

**ქუთაისის რეკვიზიციის გამო**

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას, თანახმად მისივე დადგენილებისა, მიწერილება გაუგზავნია ბ. [illegible] რაიონის მილიციის უფროსისთვის, რათა უკანასკნელმა დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში [illegible] სახლის რეკვიზიცია ავადმყოფთათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ამის გამო აცნობა ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას, რომ ამგვარი წესით მიწის ჩამორთმევა დაუშვებელია და წინადადება მისცა გააუქმოს ზემოაღნიშნული დადგენილება.

**შუამდგომლობა ნავთსადგურის გადასახადის შემოღების შესახებ**

ფოთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მან მთავრობის კანონმდებლობითი წესით უფლება მიანიჭოს ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის გადადებისა. ფოთის თვითმართველობა ამ შუამდგომლობას იმით ასაბუთებს, რომ ქ. ფოთი თუ არსებობს, როგორც ქალაქი, არსებობს მხოლოდ ნავთსადგურისა და რკინის გზის სადგურისათვის. ამიტომ ქალაქის გასამშვენიერებელი და თვით დაცვის ისეთი ხარჯები, რომელიც მოქალაქეთა შესაძლებლობას აღემატება—უნდა დაიფაროს ნავთსადგურის და რკინის გზის სადგურის შემოსავლიდან. ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილება ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე გადასახადის შესახებ შემდეგია: ფუთ აგურზე—10 კაპ., შეშაზე—15 კაპ., შავ ქვაზე—20 კ., ყოველნაირ მიწის საშენ ნივთიერებაზე და სამეურნეო იარაღზე—40 კ., ცემენტზე, ყველნაირ ხორბლეულზე, კარტოფილზე, ლობიოზე, ხილზე, მარილზე და ქვანახშირზე—1 მან., ყოველნაირ ხე-ტყეზე, [illegible] მასალაზე, გარდა ბიგვის ხის, ბზის და წითელ ხის, თევზზე, ხიზილალაზე და სხ.—2 მან., ყველა სხვა დანარჩენ საქონელზე—3 მანეთი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაფერი მოხსენება წარუდგინა მთავრობას

**ქ. თბილისის მილიციის შტატების შემუშავება**

შინაგან საქმეთა სამინისტრო საჩქაროდ იმუშავებს თბილისის ქალაქის მილიციის შტატებს.

**სომხეთის საზავო დელეგაციის წევრის ჩამოსვლა.**

ამ დღეებში პარიზიდან თბილისში ჩამოვა სომხეთის საზავო დელეგაციის წევრი ექ. ოჰანჯანიანი.

**მაჰკელის გამგზავრება.**

საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისარი პოლკ. მაჰკელი გუშინ დილით ერევანში გაემგზავრა.

**ფრანგული გემის ჩამოსვლა.**

2 მარტს ბათუმში ჩამოვიდა ფრანგული გემი „ფრიკა“, რომელმაც ჩამოიტანა ფოსტა.

**დონის ყუბანის და თერგის დელეგაციის გამგზავრება გორში.**

დონის, ყუბანის და თერგის „უმაღლესი კრუგ“-ის დელეგაცია გორში გაემგზავრა დაზარალებულ ადგილების დასათვალიერებლად და იმის გამოსარკვევად, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლიან ჩრდილოეთ რუსეთს.

## ბათომი

თებერვლის 16, სოფელ ბაგეში (მურღულის რაიონი) სახლებში [illegible] მოსულა [illegible] 25 შეიარაღებული ჩეტნიკი ქიბარ აღა [illegible]-ოღლის მეთაურობით. ეს ჩეტნიკები თავს დაესხნენ სოფელ ბაგეს მცხოვრებს და წაართვეს ყველა ხარები.

მცხოვრებლები წინა ღამეებში გაუფრთხილებიათ, შეიარაღებულან და გაუმართავთ ომი თავდამსხმელებთან. შეტაკებას დროს მოუკლავთ ჩეტნიკების მეთაური ქიბარ-აღა ფეიზოღლი. ჩეტნიკებს მოუკლავთ ჟადი ზადეს ქალიშვილი.

მეორე დღეს მურღულის რაიონის მცხოვრებლებმა ამ შემთხვევის გამო ყრილობა გამართეს და ფიცით დაადგინეს, რომ ქანებთან არ იქონიონ არავითარი კავშირი და ყველა ჩეტნიკი, რომელიც საზღვარზე გადმოვა, დაიჭირონ და მთავრობას გადასცენ. ამასთან ყრილობამ დაადგინა, რომ საზღვრების დასაცავად გაიგზავნოს შეიარაღებული რაზმი. უკვე ასი კაცამდე ჩაეწერა ამ რაზმში. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე, რომ ეცნობოს ზემოხსენებული გარემოება მთავრობას და ეთხოვოს ბათუმში მცხოვრებლებს, რათა იქონიონ მათ [illegible] მიწებზე და [illegible] მოეხდინოს [illegible] ჩეტნიკების თავდასხმას [illegible]. („ბ-მ საქ.“).

## ს.-დ საქართველოს [illegible]

### ყრილობა

(მეორე დღე)

26 თებერვლის სხდომას დაესწრნენ წარმომადგენლები: მიწათმოქმედების სამინისტროსი ა. ტამაშვილი, ჭირთან მებრძოლ საზოგადოების წარმომადგენელი ექიმი ლამბაშიძე, რომელიც ყრილობას მხურვალე სიტყვით მიესალმა.

ყრილობაზე წაიკითხეს მოხსენებები საქონლის ჭირის შესახებ: მასხარაშვილმა, იაკუბ ვიჩმა, ფარცვან ძეძინაშვილმა.

დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელ სადგურის დაარსების შესახებ. ერთი სადგურის დაარსება განზრახულია თბილისში ხოლო მეორისა ზესტაფონში. საკითხს იცავდენ [illegible] 1 ცხადაძე. საბოლოოდ დაადგინეს სადგურის აშენების შესახებ იქნება გამოტანილი განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელშიც შედიან მოხსენებლები, პოლიტიკური ორი წევრი, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები და ორიც სხვა ყრილობის მიერ არჩეული.

(მესამე დღე).

მოხსენებები წაიკითხეს „სამკურნალო ვეტერინარიის“ შესახებ ძეძინაშვილმა, ცინცაძემ და [illegible], რომელთა მოხსენებას მოჰყვა დიდი კამათი.

ყრილობის დღიური საკითხების შემდეგი პუნქტი (საქვეითო [illegible]) [illegible] ჭირის [illegible].

დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა რესპუბლიკის ვეტერინარიის ცენტრალური მმართველობის დაარსების შესახებ.

ერობათა [illegible] ჯგუფი [illegible] [illegible] ჯგუფთან ერთად [illegible] [illegible] შესახებ მოხსენების და [illegible] საკითხების [illegible] მაგრამ [illegible] მათ [illegible] [illegible].

ყრილობამ [illegible] პროგრამის [illegible] სამი დღე, შემდეგ [illegible] იქნება [illegible] არჩეული [illegible].

## ერობა

**ერობათა და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა თათბირი.**

თებერვლის 26 საგანგებო თათბირი ერობათა და ქალაქების კავშირის წარმომადგენლების. თათბირს დაესწრნენ: პ. ჭეიშვილი, მ. ცხვედაძე, დ. პ. სტურუა; ქალაქებიდან — [illegible], ა. ჯუღაშვილი, დ. კალანდარიშვილი, [illegible] და [illegible] ქალაქის თავი ლანდია.

მსჯელობდნენ კავშირთა მოღვაწეობის ზოგიერთ პუნქტებში გაერთიანების შესახებ.

[illegible] [illegible] წინადადება [illegible] სავალუტო [illegible] საკითხის [illegible], მეთოდური [illegible], კოოპერაციული ბანკისა და სხვა კანცელარიების [illegible] შესახებ.

თათბირმა გადაწყვიტა ქალაქთა და ერობათა შეერთებულ ძალებით „ერობა და ქალაქის“ მორიგი ნომრის გამოცემა, [illegible] პოპულარულ [illegible]. თათბირზე აირჩიეს სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს პირობები გამოცემაში კავშირების მონაწილეობის მიღების შესახებ. კომისიაში აირჩიეს: მ. ჭეიშვილი, ი. სტურუა, ალ. ჯუღაშვილი და დ. კალანდარიშვილი.

[illegible] საბჭოს [illegible] მის შესახებ, რომელიც ერობათა კავშირს გადაეცა, ჯერ გადაუწყვეტელი დარჩა.

## უკანასკნელი ამბები

**გემის დაღუპვა**

კონსტანტინოპოლიდან ნატანებიდან შემდეგი დეპეშა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა: ბათუმისაკენ მომავალი გემი „[illegible]“ [illegible] 2 საათის [illegible] დაიღუპა. გემზე მომავალ იმყოფებოდენ ქართველნი [illegible]: 1) შენგელია, სოფიო 2) ცუცქირიძე დავით 3) [illegible] 4) [illegible] 5) [illegible] 6) [illegible] 7) კაკაბაძე [illegible] 8) [illegible] 9) [illegible] და 10) [illegible]. აგრეთვე [illegible] 7 ქართველი [illegible] [illegible] მარჩენალნი: 1) [illegible] 2) [illegible] 3) ქართველიშვილი კონსტანტინე 4) ყიფიანი [illegible] 5) [illegible] 6) [illegible] და მე [illegible] [illegible] იმავე გემით მიმავალმა [illegible] [illegible] იყვანა.

**აზერბაიჯანის კონსულის შეწირულება.**

ბათომის კონსული ბ. [illegible] დეპეშით ატყობინებს საგარეო საქმეთა მინისტრს 3 მარტის თარიღით რომ აზერბაიჯანის კონსულმა გადმოუცხადა [illegible] [illegible] და გადასცა მას 25 ათასი მანეთი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ქართველ სამხედრო ტყვეების მოსვლა**

[illegible] [illegible] 63 ქართველი სამხედრო ტყვე [illegible] [illegible] საქართველოში.

**ვარლამ ჩერქეზიშვილის ჩამოსვლა**

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი.

**იაშვილ დ'არიანის ჩამოსვლა.**

თბილისში ჩამოვიდა [illegible] ცნობილი [illegible] ხნიაშვილი („[illegible]“).

**მაჰკელის გამგზავრება.**

გუშინ, 3 მარტს, ერევანში გაემგზავრა [illegible] უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი.

**[illegible]**

[illegible]

**საგარეო საქმეთა მინისტრთან**

[illegible]

**საქართველოს სახ. ბანკი. სავალუტო კურსი.**

თბილისი, 2 მარტი 1920 წ.

| | |
|---|---|
| სტერლინგი: | |
| ა) [illegible] | 930-1000 მ. |
| ბ) ჩეკი | 850 860 „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | 26-27 „ |
| ჩეკი | 19-50 „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | 17-18 „ |
| ჩეკი | 16 „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) [illegible] | 1450 „ |
| ბ) ქაღალდის | 248 „ |
| ჩეკი | 243 „ |
| მარკა გერმანული | 7 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ა) ასი მ. ნიშნიანი | 260 „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 1300 „ |
| ოქრო 10 მან. | 1700 „ |
| ფასიანი ქაღალდები: | |
| [illegible] | 100 „ |
| ქუთაისისა | 82 „ |
| [illegible] | 104 „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 1500 „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 360 „ |
| ვაჭართა ბანკ. | 365 „ |
| ქარ. სათ. სახ. ბანკ. | — „ |
| რენტა | 210 „ |

№ 31

# ვაჭრობა და მრეწველობა

№ 31

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## ეკონომიური წერილები

### წერილი I

სისწრაფით გადაწყვეტამ ამ მიმართულებით საქართველოს კოოპერაციისა, რომელიც მოწოდებით ისტორიის სცენაზე წინ დაგვაყენა ჩვენს ხალხს, მეურნეობის [illegible] მასთან, თუ რამდენად შესძლებს ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკა მოაწყოს ხალხის მეურნეობა; მეურნეობის I ისეთი [illegible], რომელმაც უნდა შეასრულოს მთავარი საწარმოო ძალთა ამოქმედება და სრული მონაწილეობა [illegible] და [illegible], რომელიც ასეთი სასურველი [illegible] მომნიჭებს ჩვენს ქვეყანას.

რამდენადაც ხალხის მეურნეობის და სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური ინტერესის თვალსაზრისის მიხედვით, ამ კითხვების სწორად დაყენება და გადაწყვეტა არ შეიძლება. სახელმწიფოს მეურნეობის განმტკიცება, ეკონომიური და ფინანსიური წარმატება დაკავშირებულია ხალხის მეურნეობის განვითარებასთან; ხალხის მეურნეობა ერთად ერთი წყაროა, საიდანაც იღებს სიცოცხლეს სახელმწიფო მეურნეობა.

მართალია, ხალხის მეურნეობის სვლა და განვითარება თვითონ სტიქიურია, მას თავისი განსაკუთრებული ძალები და კანონები ამოძრავებენ, რომელნიც თავისთავად მოქმედებენ, მაგრამ ჩვენთვის [illegible] გზას — ხალხის მეურნეობას აქვს თავის წარსული და აწმყო, რომელშიდაც შეინიშნება მისი მომავალი; აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა განყენებულ — კონკრეტიულ მეურნეობასთან, რომელიც [illegible] მეურნეობისათვის, რომლის მიმდინარეობა არ ემორჩილება ვინმეს ნებას და სურვილს. ამ თავისებურ სვლის ხელმძღვანელობს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, [illegible] ის ტიპიური კანონები, რომელნიც [illegible] ისე სტიქიურად მოქმედებენ, როგორც [illegible] მდინარის ამოხეთქვა, მიწის ძვრა და სხვა. ცდა ამ სტიქიური მიმდინარეობის კალაპოტში ჩაყენება და ჩვენ ნებაზე წაყვანა სრულიად უნაყოფო ცდაა.

სულ სხვა პირობებში სწარმოებს და მიმდინარეობს სახელმწიფო მეურნეობა, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს განკერძოებულ მეურნეობასთან, რომლის განვითარება და წარმატება დიდათ არის დამოკიდებული ადამიანის შემოქმედ ძალზე, ნებაზე და სურვილზე. ამ სფეროში სახელმწიფოს საქმეში ჩარევას დიდი მნიშვნელობა აქვს, აქ ეკონომიურ და ფინანსიურ გეგმას სრულიად შეგნებულად შეუძლია გაიკვლიოს ის გზა, რომლითაც სახელმწიფო მეურნეობის სვლა [illegible].

ერთი სიტყვით სახელმწიფო მეურნეობაში, ისე როგორც ყოველ კერძო მეურნეობაში, მიუხედავად ობიექტიური პირობებისა, რომელნიც ხშირად ხელს უშლიან შეგნებულ შემოქმედ ძალებს, შესაძლებელია საერთო მიზნის დასახვა და მისი განხორციელება. ამისთვის რასაკვირველია საჭიროა მტკიცე შემუშავებული გეგმა და ფართო ეკონომიური და ფინანსიური მიზანშეწონილება საერთო სახელმწიფოებრივი მოქმედებისა და საქმიანობისა.

ამიტომ, როდესაც ეკონომიურ და ფინანსიურ გეგმაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობა და მიზნად ისახავენ მის სწორად მოწყობას და მოწესრიგებას.

მიმართულებით ფართო გეგმა რასაკვირველია იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ შესცვალოს ბუნებრივი ისტორიული სვლა და განვითარება ხალხის მეურნეობისა, არამედ ხელი შეუწყოს მის ნორმალურ პირობებში მიმდინარეობას და აღადგინოს ხალხის მეურნეობის [illegible], რაც ხელს უშლის მის საწარმოო ძალთა განვითარებას და გაძლიერებას. ეკონომიური და ფინანსიური გეგმა საჭიროა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო მეურნეობის მოწყობისთვის და მისი კალაპოტში და განსაზღვრულ პირობებში ჩაყენებისთვის.

მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა შედეგები მოაქვს ფართო და მწყობრ სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზაციას თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის, [illegible] ის [illegible] და პირდაპირი განსაცვიფრებელი მაგალითი, რომელიც ჩვენ კაპიტალიზმს მიაწოდა ომის დროის გამოცდილებამ. ომის წლის განმავლობაში საერთოდ [illegible] შეიცვალა, იგი [illegible] იმპერიალიზმი [illegible], მან გააძლიერა ქვეყანა არა მარტო თავის სამხედრო ტექნიკით, "შეუდრეკელი" რკინის დისციპლინით, არამედ იმ ფართო [illegible], სასურსათო პოლიტიკით და საერთო სამოქალაქო გეგმით, რომლითაც მან ომის დ[illegible] მთელი სახელმწიფოს მეურნეობა და მისი [illegible] აპარატი. დღესდღეობით ომის გამოცდილებისა სახელმწიფოს [illegible] მხოლოდ [illegible], მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის მოწყობის და [illegible] საქმე. მთელი სახელმწიფო მეურნეობის [illegible] და მოქმედებს ხანგრძლივ შეთანხმებით, სახელმწიფო აძლევს მტკიცე და [illegible] ხელმძღვანელობას არა მარტო თავის ქვეყნის ფარგლებში სახელმწიფოს საზღვრებში, არამედ ის ნიშნავს მტკიცე და საყოველთაო ფინანსიურ პოლიტიკას.

მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთი, [illegible] ბევრი და სურსათის მარაგი [illegible] წლის შემდეგ ომის დაწყებიდანვე [illegible] და [illegible]. [illegible] სასურსათო [illegible] მრეწველობის [illegible]. [illegible] ის [illegible] მიზეზი [illegible], როგორც [illegible] გაჭირვებული. ამიტომ ყოველი ერი, სახელმწიფო, რომელიც [illegible] და წინ დაუფიქრებლობით არ შეიმუშავებს ფართო ეკონომიურ და ფინანსიურ გეგმას სახელმწიფო მეურნეობის მოწყობისას და განმტკიცებისას და მის ცხოვრებაში სისტემატიურად და [illegible] გატარებისას, [illegible] [illegible] [illegible], თუ გინდ ობიექტიური პირობები მას ხელსაც უწყობდენ.

ს. გ—ძე.

(შემდეგი იქნება).

## თანამედროვე მდგომარეობა მარგანეცის მრეწველობისა

### წერილი მესამე.

### ტექნიკური გაუმჯობესებანი მარგანეცის მრეწველობაში.

როგორც წინა წერილებში იყო მოხსენებული მრეწველთა [illegible] დღეს [illegible] [illegible] იყო. მარგანეცის საქმეში [illegible] ის მოვლენა რომ [illegible] ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა [illegible], რომელმაც შეისხა თითქმის სამი [illegible] მრეწველთა რაოდენობა. ამ რიგად დღეს [illegible] მრეწველობისა [illegible]: ერთის მხრით არის [illegible], ხოლო [illegible] 90 პროცენტზე [illegible] მრეწველთა, მეორეს მხრით არიან [illegible] მრეწველნი და [illegible] ამ უკანასკნელთა რიცხვი არ აღემატება 16-ს, [illegible] მრეწველნი არ არიან, [illegible] [illegible] მარგანეცის მრეწველობაში [illegible], რადგან მარგანეცის [illegible] [illegible] მარგანეცის [illegible] [illegible] აქვს.

უკანასკნელი მრეწველები შეადგენენ სამი [illegible], [illegible], ერთი [illegible], [illegible], სამი [illegible] ([illegible]) [illegible], რომელნიც [illegible]. ამ რიგათ არის განაწილებული მრეწველობა დღეს ჭიათურის [illegible] რაიონში.

ტექნიკური გაუმჯობესება მრეწველობაში [illegible] მრეწველობისა, ერთი [illegible], [illegible] მარგანეცის [illegible]. ერთი მხრივაც და [illegible]. თუ მარგანეცის მრეწველობის განვითარების ისტორიას [illegible], [illegible] რომ პირველად [illegible] წლებში ს. [illegible] ინჟინერმა პირველმა, რომელიც იყო [illegible] "[illegible]" [illegible] რკინის გზა თავის ხარჯით [illegible], მისი [illegible] [illegible]. [illegible] რომ შემოიღო, როგორც იმის მოწმობს [illegible] ბ. [illegible], ის წესი [illegible], რომელიც ძალიან მცირე ცვლილებით დღესაც [illegible] ჭიათურის სამრეწველო რაიონში. [illegible]: წინათ [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] 50 პროცენტზე მეტის [illegible]. ეს [illegible]; ერთი [illegible], ამ სამ [illegible]; [illegible], [illegible]. ეს [illegible] [illegible] 90—95 პროც. [illegible] [illegible]. [illegible] ეს წესი [illegible], [illegible] [illegible].

Tartius

(დასასრული იქნება)

## [illegible] სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა

სახელმწიფო შემოსავლის რაოდენობა რომ [illegible] წარმოვიდგინოთ [illegible] შემოსავლიდან [illegible] შემდეგი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ. სახელმწიფო ქონება და [illegible] | 574.208 420 მ.ნ. | 76,5 | პრ. |
| 2. არაპირდაპირი გადასახადები | 89.247 000 | 11,9 | პრ. |
| 1. პირდაპირი გადასახადები | 55.275.300 | 7,4 | პრ. |
| 3. ბაჟი | 18.986 400 | 2,5 | პრ. |
| 4. მონოპოლიის რეგალიები | 7 948.593 | 1,1 | პრ. |
| 8. სხვა და სხვა შემოსავლები | 3.311 959 | 0,5 | პრ. |
| 9. სახელმწიფო ხაზინის ხარჯ. დაბრუნება | 923.716 | 0,1 | პრ. |
| სულ შემოსავალი | 749.901.187 მ.ნ. | 100 | პრ. |

გადასახადისა და საქონლის [illegible] საქართველომ გადმოიღო რუსეთის სახელმწიფოებიდან და აქამდე ამ სისტემაში არავითარი საგრძნობელი ცვლილება არ არის შეტანილი. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მეურნეობის შედარებისათვის საუკეთესო საშუალებაა შევადაროთ რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვას.

ომის დაწყებამდე (1914 წ.) რუსეთის უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელშიდაც ჯერ გავლენა არა ჰქონდა ომის გამო გამოწვეულ გადიდებულ ხარჯებს, შემოსავლის ბალანსი, შემოსავლის მუხლის კლასიფიკაციით, გვაძლევს შემდეგ ციფრებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| 5. სახელმწიფო ქონება და [illegible] | 1.111,8 მილ. მან. | 31,6 | პრ. |
| 4. სახელმწიფო რეგალიები | 1.069,5 | 30,4 | |
| 12. არა პირდაპირი გადასახადები | 702,3 | 20,1 | |
| 1. პირდაპირი გადასახადები | 264,5 | 7,5 | |
| 3. ბაჟი | 232,4 | 6,6 | |
| 8. სახელმწიფო ხაზინის ხარჯ. დაბრუნება | 116,6 | 3,3 | |
| 9. სხვა და სხვა შემოსავლები | 17,7 | 0,5 | |
| სულ | 3.521,7 მილ. მან. | 100 | პრ. |

მოყვანილი ხარჯთ-აღრიცხვათა ერთგვარ შემოსავლებს თუ შევადარებთ ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა ვნახავთ, რომ შემოსავალი, პირველ მუხლში ნაჩვენები სახელმწიფო ქონებიდან და კაპიტალიდან რუსეთისა და საქართველოსი მეტად განსხვავდება: საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვით მისი ეს წილი საერთო შემოსავლის 76,5 პროც., რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვით კი ეს მუხლი იძლეოდა მხოლოდ 31,6 პროც.

პირველ შეხედვით ისე სჩანს, თითქოს ეს გარემოება საქართველოს ხარჯთ აღრიცხვის უპირატესობას წარმოადგენს, ვინაიდან სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსის შეთანხმება მეტად ადვილს საქმეს უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც სახელმწიფო ქონებიდან და კაპიტალიდან შემოსავალი უკვე შეადგენს საერთო შემოსავლის სამ მეოთხედს. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ხარჯთ-ალრიცხვის ამ მუხლს, აღვნიშნავთ, რომ შემოსავლის უმთავრესი ნაწილი (252,000,000) მოსალოდნელია [illegible]-მამულების გადაცემიდან კერძო საკუთრებათ, ამ ოპერაციის სავსებით შესრულება კი ერთის წლის განმავლობაში მეტად ძნელი იქნება.

მეორე მსხვილი ჯამი, აღნიშნული V განყოფილებაში, შემოსავალი საქართველოს რკინის გზებიდან, გამოანგარიშებული 231 მილ. მანეთი, [illegible] რკინის გზების ექსპლოატაციის ხარჯებით (244.787.144 მ.), ასე რომ ამ მუხლით არა თუ არავითარი რეალური შემოსავალი, არამედ გამოდის 13.7 მილ. მან. დეფიციტი, რუსეთის რკინის გზები კი იძლეოდნენ 838,3 მილ. შემოსავალს, ექსპლოატაციის ხარჯი იყო 677,3 მილ. მ.ნ., და ამ ხარჯების გასტუმრების შემდეგ სახელმწიფო რკინის გზებიდან რჩებოდა წმინდა მოგება 161 მილ. მან.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს რკინის გზების საქმე თან და თან გამოკეთდა და სრული იმედია, რომ ხარჯთ-აღრიცხვას ამ მუხლით ფაქტიური შემოსავალი შესამჩნევად გადააჭარბებს ნავარაუდევს.

უნდა მივაქციოთ ყურადღება [illegible] გადასახადებს, რომლებიც აღნიშნულია რუსეთისა და საქართველოს ხარჯთ აღრიცხვის 1-ლ და მეორე განყოფილებში.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირდაპირი გადასახადი ორივე ხარჯთ-აღრიცხვაში შეადგენს თითქმის ერთნაირ პროცენტს საერთო შემოსავლისას (7,4 პროც. და 7,5 პროც.); ხოლო არა-პირდაპირი გადასახადი რუსეთის ხარჯთ აღრიცხვით შეადგენდა 20,1 პროც. საერთო შემოსავლისას, საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვით კი ეს შემოსავალი შეადგენს მხოლოდ 11,9 პროც.

მიზეზი ამ დიდი შეუთანხმობისა ის არის, რომ არა-პირდაპირი გადასახადის რაოდენობა, დაწესებული ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს, შემოღებული იყო ომიანობის პირველ წლებში და ომის დაწყებამდისაც, ამიტომ იგი იყო მეტად მცირე და არ შეეფერებოდა სურსათ-სანოვაგის ფასებს.

ამ გარემოებას მოჰყვა ის შედეგი, რომ სახელმწიფო შემოსავლის ამ ნაწილმა იმდენი შემოსავალი არ შემოიტანა, რამდენიც შესაძლებელი იყო [illegible] რომ შესაფერად [illegible], ამ ნაწილმა უნდა დაიჭიროს სახელმწიფოს ყველა შემოსავლის ერთი-მეოთხედის არა ნაკლები. ეს ასეა სხვა ქვეყნებში.

საფინანსო უწყება დიდი ხანია ზრუნავდა შემოსავლის ამ ნაწილის გადიდებაზე. ამ უწყებამ შეადგინა რამდენიმე კანონ პროექტი არა პირდაპირი გადასახადისა, სახელდობრ: ღვინოზე, პურის სპირტზე, ყურძნის სპირტზე, ლუდზე, კონიაკზე, ნამდვილ ჩაიზე, ჩაის სუროგატებზე და სხვა. ეს კანონ-პროექტები ჯერ ისევ 1918 წელს წარუდგინა მთავრობას განსახილველად, ზოგი მათგანი შეწყნარებულ იქმნა მთავრობის მიერ და შეტანილ პარლამენტში, მაგრამ საბოლოო დამტკიცება არ [illegible] პარლამენტის დათხოვნისა და მისი უფლებათა ვადის გათავების გამო.

დროის მოგებისა და სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გადასახადთა ნაწილის უდეფიციტოდ შესრულებისთვის შარშან ფინანსთა მინისტრმა წარმოადგინა კანონ-პროექტი, რომლითაც [illegible] და იმავე დროს ემატებოდა აქციზი ყველაფერს, რომელიც [illegible] არაპირდაპირი გადასახადი. აქციზი ერთგვარათ კი არ მოემატა ყველა საგანს, არამედ სხვა და სხვა ჯგუფს. ჯგუფებად დაყოფა საგნებისა მოხდა იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭიროა ესა თუ ის საწოვაგე მცხოვრებთათვის: ყველაზე მეტად საჭირო საგნები, როგორც, მაგალითად, [illegible], სრულიად განთავისუფლებულ იქმნა აქციზისაგან; ნავთი, შაქარი და ასანთი დაბეგრილ მცირე გადასახადით; ღვინოსა და ლუდს საშუალო გადასახადი; ხოლო ფუფუნების საგნებს — სიგარებს, შამპანიურსა და ლიქიორის ღვინოებს — უდიდესი გადასახადი.

სააქციზო გადასახადების აწევამ შეიტანა საჭირო კორექტივი 1919—20 წლების სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში: ახალი კანონით, მოსალოდნელი შემოსავალი 132 მილ. მან., 89 მილიონის მაგიერ, რომელიც შეტანილია ხარჯთ-აღრიცხვაში, შესამჩნევათ ასწევს ამ შემოსავლთა ჯგუფის პროცენტულ შეფარდებას გადასახადთა საერთო ჯამით და დააყენებს იმ ნორმაზე, რომელიც ჩვეულებრივათ არის აღნიშნული სხვა სახელმწიფოთა ხარჯთ-აღრიცხვაში.

კანონი სააქციზო გადასახადის მომატების შესახებ მიღებულ იქმნა დამფუძნებელი კრების მიერ წლის [illegible] და გამოქვეყნებული [illegible] მარიამობის თვის გასულს.

მეორე კორექტივი, რომელიც შეტანილ უნდა იქმნას სახელმწიფო შემოსავალთა ხარჯთ-აღრიცხვაში, ეხება ბაჟებს.

ბოლო წლებში მართალია აწეულ იქმნა ბაჟის რაოდენობა. ეს რაოდენობა, როგორც რაოდენობა სააქციზო გადასახადისა, დაძველდა და ჩამორჩა ცხოვრებას, თუ მივიღებთ მხედველობაში ფასის გასაოცარ ზრდას ყველა საგნებისას, რომელიც მოდის საქართველოში საზღვარ გარეთიდგან. მაგრამ ბაჟის რაოდენობა მეტად მცირეთ იქმნა აწეული და ისიც მხოლოთ ზოგიერთ საგნებზე.

რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვაში 1914 წლისათვის შეტანილი იყო საბაჟო შემოსავალი სულ 351 [illegible] მილ. მ.ნ. რაიცა შეადგენს ყველა შემოსავლის 10 პროც., ხოლო იმავე დროს საქართველოს სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვით ბაჟის შემოსავალი ნავარაუდევია 24,5 მილ. მან., რაიცა შეადგენს 3,3 პროცენტს, რაც უნდა მცირეთ აიწიოს ბაჟების რაოდენობამ, საბაჟო გადასახადის შემოსავალში ერთი ორად უნდა იმატოს.

საბაჟო [illegible] უწყებამ წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს კანონ პროექტი საბაჟო გადასახადის მომატებისა იმ [illegible] საგნებზე, რომელიც მოდის საზღვარ გარეთიდან, ესე იგი თითქმის მთლიანათ ფუფუნების საგნებზე. ეს კანონ-პროექტი უკვე განხილულია ფინანსთა მინისტრის საბჭოში სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელთა თანდასწრებით და მოკლე ხანში წარედგინება საკანონმდებლო დაწესებულებას დასამტკიცებლად.

მაგრამ თუ შევადარეთ ორივე ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავლის მუხლებს, ყველაზე დიდი განსხვავება აღმოჩნდება მე 4 განყოფილებაში: მონოპოლიის რეგალიები. [illegible] რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვით ყველა შემოსავლების 30,4 პროც. ს, ხოლო საქართველოში ეს შემოსავალი ჯერ ახლათ იწყება და იძლევა მხოლოთ 1,1 პროცენტს.

ეს იმის მიზეზით მოხდა, რომ არყის მონოპოლია, რომელიც რუსეთში ერთ დიდ შემოსავალს იძლევა (935,8 მილ. მან. 1914 წ.) შემოღებული ამიერ-კავკასიაში 1917 წლის 14 სეკტემბერს, ვერ განხორციელდა პოლიტიკურ ხასიათის მიზეზთა გამო. ამიტომ საქართველოს მთავრობის რეგალიები 1919—20 წ. წ. წარმოადგენენ სამ მუხლს: სამთო-მადნო შემოსავალი, ნავარაუდევი 32,700 მან., ფოსტისა 1.55[illegible] 028 მან. და ტელეფონისა და ტელეგრაფისა — 6.365.664 მანეთი.

შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვის აღნიშნულ ნაწილის შესავსებლად გახსნილია მთელი რიგი მონოპოლიებისა, მაგრამ ამ ზომების პრაქტიკულათ განხორციელებისთვის ჯერ არ არის საჭირო პირობები, რადგან საჭირო საქონელი ან სრულებით არ შემოდის საქართველოში, ან თუ შემოდის, ძლიერ ცოტა. რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას, ჯერ ჯერობით მხოლოთ ორი საგანია აღსანიშნავი, რომელიც მრავლათ არის საქართველოში: შავი ქვა (მარგანეცი) და თამბაქო. ეს ორი საგანი უკვე ითვლება სახელმწიფო მონოპოლიის ექსპორტის ობიექტებათ და შეადგენენ საშუალებას საზღვარ გარეთის ვალიუტის მიღებისათვის.

რა შედეგი მოჰყვება ხსენებულ მონოპოლიებს, ამის თქმა შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე ამ მონოპოლიების შესახებ კანონები პრაქტიკულათ არ განხორციელდება. მაგრამ მაინც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ მონოპოლიებიდან შემოსავალი ვერ დაფარავს შემოსავლის ბალანსის დანაკლისს, და 1919—20 წლების სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა შესრულდება დეფიციტით.

ეკონომისტი.

## შემოწირულება

გორის ფონდისთვის ვაჭარ-მრეწველთა მთავარ კომიტეტში შემოვიდა:

სავაჭრო პალატის მიერ განზრახულ ბანკეტიდან დარჩენილი 75.000 მან., ამიერ-კავკასიის ბანკმა 300.000 მან., ვაჭართა ბანკმა 250.000 მ., კავკასიის ბანკმა 250.000 მ., იტალო-კავკასიის ბანკმა 200 000 მან., ძმ. მაილოვებმა 30.000 მ., არტ. ნ. მელოვმა 25.000 მ., ალ. ზედგინიძემ 10.000 მ., კავკასიის ეკონომიურმა საზოგადოებამ 10 000 მან., ვასილ ბერულაშვილმა 5 000 მ., ძმ. [illegible] 5000 მ., საზოგადოება „იმედმა“ 5.000 მ., იტალო კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა ჯგუფმა 3.707 მ., გ. გ. ადელხანოვმა 3.000 მ., დ. აფხაზმა 2000 მ., ს. ი. პოლოსოვმა 2,000 მ., ამხ. „დრუჟბა“ 2.000 მ., მ. ა. სტეფანიანცმა 2 000 მ. ლევ. ვაჩნაძემ 2.000 მ., ვარტპატრიკოვმა და გრიგორიანცმა 1.000 მ., ა. ძ. კოჩოროვმა 1.000 მ., გ. ი. სერებრიაკოვმა 1.000 მ., იაროვმა და ამხ. 1.000 მ., ივ. კიკნაძემ 750 მ., სვ. გაბრიჩიძემ 200 მ., ს. შელაძემ, გელაშვილმა, მარიამაშვილმა და ე. სვიძონიშვილმა 174 მ., ელ. შლიტერმა 100 მან., [illegible] ბეჭდვითი ამხ. 1.102 მ. 20 კ. სულ 1 388.034 მ. 20 კ.

გარდა ამისა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოსამსახურეებმა შემოსწირეს: ალ. ჯაბადარმა 2.500 მან, მ. ჯავახიშვილმა 1. 143 მ., ძ. თაქთაქიშვილმა 970 მ., პეტროვმა 980 მ., ი. ზედგინიძემ 1.120 მ., ქ. [illegible] 560 მ., იაროვმა 200 მ., ეკონომისტმა 200 მანეთი, ბ. ვ—ძემ 200 მანეთი, ან. ვახვახიშვილმა 362 მანეთი, თ. ფალავანდიშვილმა 454 მ., [illegible] 363 მ., ნ. მესხიშვილმა 363 მ, ნ. ფალიაშვილმა 363 მ., ნ. [illegible] 363 მ., ვ ლებანიძემ 152 მ., მ. [illegible] 500 მ., ირ. [illegible] 363 მ., დ. ლებანიძემ 121 მ., პო. მეტრეველმა 1. 050 მ., ი. ჯაბადარმა 1.030 მ.—სულ 13.387 მან საერთო ჯამი 1.401.421 მანეთი 20 კაპ.

[illegible] „[illegible]“ [illegible] № 4.